დედამიწა, მზე, მთვარე და პლანეტები

დაბალი დონე



საკითხავი წიგნები ენისა და საგნის (ბუნებისმცოდნეობის) ინტეგრირებულ სწავლებაში მხარდასაჭერად მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის "საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.

ავტორი:

ნათია გორგაძე

რედაქტორი

კახა გაბუნია

დიზაინერი

ილია ჭრელაშვილი

© „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR)

თბილისი

2020 წელი

მზის სისტემა

შინაარსი

მზის სისტემის პლანეტები 3

მზე და დედამიწა 5

პლანეტები 7

დედამიწა ბრუნავს! 11

მზის სისტემის პლანეტები

ჩვენ უკვე ვისწავლეთ, რომ დედამიწა კოსმოსის ერთ-ერთი პლანეტაა. კოსმოსში კი უამრავი სხვა პლანეტაც არსებობს.



კოსმოსში იმდენად ბევრი პლანეტა არსებობს, რომ ჩვენ მათ ვერც კი დავთვლით. დედამიწიდან ვარსკვლავებად მხოლოდ იმ პლანეტებს ვხედავთ, რომლებიც დედამიწასთან უფრო ახლოსაა. ის პლანეტები, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ, მზის სისტემის პლანეტებია.

დედამიწა ასევე მზის სისტემის პლანეტაა.

მზე და დედამიწა

მზე - უზარმაზარი ციური სხეულია, რომელიც ისეა გავარვარებული, რომ ცეცხლოვან ბურთს წარმოადგენს.



დედამიწა მზისგან ძალიან შორსაა. დედამიწასა და მზეს შორის მანძილი 150 მილიონი კილომეტრია. ამიტომ ვხედავთ მზეს, როგორც ანთებულ ბურთს.

დედამიწის გარდა, მზის სისტემის გარშემო კიდევ 8 სხვა პლანეტა მოძრაობს. ამ პლანეტების სახელები ალბათ გაგიგია კიდეც.

პლანეტები

ყველაზე ახლოს მზესთან პლანეტა მერკურია, მას ვენერა მოსდევს. მზისგან მესამე პლანეტა - ჩვენი დედამიწაა. შემდეგ მოდის მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი და ბოლოს ნეპტუნი. ნეპტუნი ყველაზე პატარა პლანეტაა მზის სისტემაში. მას ჯუჯა პლანეტასაც უძახიან. ყველაზე დიდი პლანეტაა იუპიტერი.

ამ რვა პლანეტიდან 4 მყარი ქანებისგან შედგება. ერთ-ერთი, რა თქმა უნდა, დედამიწაა. დედამიწა ერთადერთი პლანეტაა მზის სისტემაში, რომელზეც წყალი არსებობს.

ამიტომ არის დედამიწაზე სიცოცხლე. ამიტომ შეგვიძლია ჩვენ არსებობა.

პლანეტები მზისგან სხვადასხვა მანძილით არიან დაშორებულები და მის გარშემო მოძრაობენ. თუმცა, მზის გარშემო მოძრაობის გარდა, პლანეტები საკუთარი ღერძების გარშემოც მოძრაობენ.

დედამიწა ბრუნავს!

დედამიწა საკუთარი ღერძის გარშემო ერთი ბრუნის გაკეთებას ერთი დღე და ღამე ანდომებს. როდესაც დედამიწა მზისგან „ზურგითაა“,

შეხედე გლობუსს და გამოიცანი, რომელ ქვეყნებში იქნება ღამე, როდესაც ჩვენთან დღეა?

ჩვენთან ღამეა, ხოლო როდესაც მზეს უყურებს, მაშინ დღეა. დედამიწა მრგვალია. ამიტომ, როდესაც ჩვენთან დღეა, დედამიწის მეორე მხარეს ღამეა.



მზის გარშემო შემოტრიალებას დედამიწა ერთ წელიწადს ანდომებს. იმის მიხედვით, სად არის დედამიწა მზესთან მიმართებით, იცვლება წელიწადის დრო, სეზონი, ტემპერატურა, დღის და ღამის ხანგრძლივობა.

მთვარე ასევე ციური სხეულია. ის დედამიწის თანამგზავრია. ჩვენ იმიტომ ვხედავთ მთვარეს ასე კარგად, რომ ის დედამიწასთან ყველაზე ახლოსაა და მის გარშემო ბრუნავს.

აი, ასეთი მოწესრიგებული სისტემაა კოსმოსი!